DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

2022 წლის I კვარტლის იურიდიული საინფორმაციო ბიულეტინი

სარჩევი

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი 1

ენერგეტიკული ბირჟის შესახებ 2

იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. 2

წამლის იმპორტიორებითვის GMP სტანდარტის წარდგენის შესახებ. 3

სესხის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ 3

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" ახალი კანონი 5

აპრილი, 2022 წელი

იურიდიული მრჩეველი: ზურაბ ახალაძე

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი. 1994 წელს მიღებული კანონი მოძველებული იყო და ძირითადად, ვერ პასუხობდა ბიზნესის ინტერესებს. შესაბამისად, სწორედ ამიტომ გახდა მასში ცვლილებების შეტანა საჭირო. ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა მისი შედარებით დაჩქარებული ტემპით შემუშავება ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობდა.საქართველო, აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, ვალდებულია ეტაპობრივად დაუახლოვოს კორპორატიული სამართალი ევროკავშირის კანონმდებლობას და უზრუნველყოს აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა ბიზნეს-სუბიექტთა დაცვა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

ძველ კანონში ბევრი საკითხი ბუნდოვანი იყო, რაც ხშირად სასამართლო დავების მიზეზი ხდებოდა. მაგალითად, წესდება ზოგადი ხასიათის მატარებელი იყო და არ აწესრიგებდა მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რის გამოც კანონით გაუთვალისწინებელი საკითხები, ფაქტობრივად, რეგულირების მიღმა რჩებოდა. კანონი კი, რომელიც საშუალებას აძლევდა სამეწარმეო საზოგადოებებს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოეწესრიგებინა სამართლებრივი ურთიერთობები, დავის წარმოშობის შემთხვევაში ვეღარ ეხმარებოდა მათ.

ახალ კანონზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ძველი კანონის სხვადასხვა პრობლემური საკითხები, მათ შორის:

- სამეწარმეო საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლასთან დაკავშირებული საკითხების დაურეგულირებლობა;
- ინტერესთა კონფლიქტების დაურეგულირებლობა;
- კორპორატიული მმართველობის გამჭვირვალობის პრობლემა;
- ლიკვიდაციისა და ქონების განაწილების პროცედურების ხარვეზიანობა და სხვა.

სწორედ ეს და სხვა პრობლემური საკითხი გადაიჭრა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის მიღების შედეგად. ახალი კანონით სამეწარმეო ურთიერთობებში კანონის როლი და დანიშნულება გაძლიერდა. ახალმა კანონმა, ერთი მხრივ, საწესდებო ავტონომიის პრინციპი გაამყარა, ხოლო, მეორე მხრივ, კანონი მარეგულირებელ ფუნქციას შეასრულებს ამგვარი ავტონომიით სარგებლობის პროცესში. ამგვარად, მხარეებს შეუძლიათ უკეთ მოაწესრიგონ კორპორატიული ურთიერთობები, ხოლო, ცალკეული საკითხის წესდებით მოუწესრიგებლობის შემთხვევებისთვის, უკვე არსებობს შესაბამისი ნორმატიული ბაზა, სადავო საკითხების სათანადოდ განხილვასა და გადაწყვეტისთვის. ამასთან, ახალი კანონით გაუმჯობესდა მინორიტარ პარტნიორთა და მესამე პირთა უფლებების დაცვის ხარისხი და გაიზარდა კორპორატიული გამჭვირვალობა.

ახალი კანონის კონცეფციით, განსხვავებით ძველი კანონისგან, წესდების ცვლილების საჭიროება იშვიათად უნდა დადგეს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, წესდების სავალდებულო კომპონენტები ისეთი საკითხებია, რომლებითაც არ ხდება საზოგადოების ინდივიდუალიზება. შესაბამისად, კანონი გვთავაზობს სტანდარტულ წესდებას კონკრეტული სამართლებრივი ფორმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის მიერ და მისი ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს უკვე რეგისტრირებული საწარმოების ვალდებულება, სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანონ ამავე კანონის მოთხოვნებთან, მისი

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება'' ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge

ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში. თუმცა არც კანონში და არც კანონქვემდებარე აქტში/აქტებში არ არის მითითება, თუ კონკრეტულად რა ტიპის ცვლილებები უნდა განახორციელოს კომპანიამ ახალი კანონის შესაბამისად ამ ვადაში. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საკითხი სულ მალე იქნება დარეგულირებული.

გვსურს, გაცნობოთ, რომ გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის შესახებ მოამზადა პუბლიკაცია, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე.

ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება ისევ გადავადდა

,,ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილების
მიხედვით, კომპანიებს, რომლებიც მოიხმარენ 0,4 მლნ კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას, ელექტროენერგიის შეძენა დაევალათ ენერგეტიკ ულბირჟაზე 2022 წლის 1 მარტიდან.

თუმცა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობა გადავადდა 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

შეგახსენებთ, რომ 2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მოქმედების ძირითად პრინციპებს, მისი ორგანიზებისთვის და ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებებს. ბაზრის კონცეფციის მიზანია:

- ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და მომხმარებლებისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, კონკურენტული და გამჭვირვალე ბაზრის მოდელის შექმნის გზით.
- ორგანიზებული ბაზრების ჩამოყალიბება: დღით ადრე, დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურებებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრები;
- ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს შორის სწორი ზღვრების გატარება;
- კონკურენტული, ლიკვიდური ბაზრის ფასის ფორმირება. ბაზრის კონცეფცია მოიცავს კანონის მიღებამდე არსებული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების მექანიზმებს, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებისთვის სპეციალურ მოთხოვნებს.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი დაყოფილია 4 სეგმენტად:

- დღით ადრე ბაზარი;
- დღიური ბაზარი;
- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი;
- საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ბმულს.

დეპოზიტების დაზღვევა უკვე იურიდიული პირების ანგარიშებზეც ვრცელდება

2022 წლის 1 იანვრიდან ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში ,,დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ”, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირების საბანკო დეპოზიტები დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სააგენტოს მიერ იქნება დაზღვეული. ცვლილების შედეგად, 15,000 ლარის მოცულობით იურიდიული პირების დეპოზიტები სახელმწიფო სააგენტოს მიერ იქნება გარანტირებული.

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება” ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge

საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემით აქამდე დაზღვეული იყო მხოლოდ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ყველა ტიპის დეპოზიტი. ვინაიდან საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია, დაზღვევა ეხება საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ბანკში არსებულ დეპოზიტებს. დაზღვევის ლიმიტი ამ დროისთვის 15 000 ლარია ნებისმიერ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტისთვის. დაზღვევას არ ექვემდებარება მხოლოდ ის დეპოზიტები, რომლებზეც წვდომის უფლებაც დეპოზიტორს შეზღუდული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში (მათ შორის: ყადაღა, სესხის უზრუნველყოფის საგარანტიო თანხები და სხვა).

დეპოზიტების დაზღვევის ყოველთვიურ საფასურს (პრემიას) კომერციული ბანკები დეპოზიტების დაზღვევის სახელმწიფო სააგენტოს უხდიან. ლარის ანგარიშისთვის ყოველთვიური პრემია დეპოზიტის – 0.067%, ხოლო უცხოური ვალუტის ანგარიშისთვის კი პრემია 0.1%-ის ტოლია.

იმ შემთხვევაში, თუკი დეპოზიტორს რამდენიმე ანგარიში აქვს (მათ შორის: ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), მისი ანგარიშები ჯამდება და ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა 15 000 ლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებისმიერი კომერციული ბანკის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესის დაწყების შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 20 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს დეპოზიტორების კუთვნილი თანხების ანაზღაურებას დადგენილი ზღვრის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე.

წამლების იმპორტიორებისათვის სავალდებულო გახდა ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა

2022 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის GMP-სერტიფიკატზე გადასვლის აუცილებლობა. შესაბამისად, იმისთვის, რომ თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ ადგილობრივი კომპანიები და იმპორტიორები, შეიცვალა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლები და უკვე 2022 წლის 17 თებერვლიდან წამლის იმპორტიორები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტი (იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ორიგინალის, ისე ასლის სახით, ან ელექტრონული დოკუმენტის ან სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით,მოპოვების წყაროს მითითებით).

ცვლილების მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარი მიდგომები ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებლებს, საბითუმო რეალიზატორებსა და იმპორტიორებს შორის.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე.

ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი და ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის ცვლილებები დაამტკიცა.

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება'' ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge

კოდექსით მოწესრიგდა სესხის ამოღების პროცესში ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებები, რაც შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს:

განისაზღვრა მომხმარებლისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის, საქმიანი და ზრდილობიანი ფორმით კომუნიკაციის ვალდებულება. კერძოდ, მომხმარებელთან და საკონტაქტო პირებთან ურთიერთობისას ფინანსურმა ორგანიზაციამ აღნიშნულ პირს არ უნდა მიაწოდოს შეცდომაში შემყვანი ან/და არასწორი ინფორმაცია. მიწოდებული, მიუწოდებელი ან/და არასრულად მიწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ პირს არ უნდა უბიძგებდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი, სწორი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში;

დადგინდა მომხმარებლებთან და საკონტაქტო პირებთან დაკავშირების წესი, რაც, მათ შორის, მოიცავს კომუნიკაციის ფორმას, დროსა და მისაწოდებელი ან/და მოსაძიებელი ინფორმაციის ჩამონათვალს. კერძოდ, საკონტაქტო პირთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოქმედი/აქტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო დაკავშირებულ მესამე პირებთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მსესხებლის ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით. შესაბამისად, მომხმარებლის ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება დაუშვებელია. ამასთან, ხსენებულ პირებთან კომუნიკაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ დღის 09:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე პერიოდში; ამავე დროს, საკონტაქტო პირი უფლებამოსილია, ფინანსურ ორგანიზაციას მასთან კომუნიკაციის შეწყვეტა მოსთხოვოს;

განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლებთან და საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების წარმოებისა და ორი თვის ვადით შენახვის ვალდებულება;

საკრედიტო პორტფელის გასხვისება, გარკვეული გამონაკლისების გარდა, დასაშვები იქნება მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებზე. ამასთან, თუ საკრედიტო პორტფელს მართავს სხვა პირი, კოდექსის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტს და ა.შ.

ამასთან, ცვლილებები შევიდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში, რაც შესაბამისი ევროდირექტივების მოთხოვნებიდან და ბაზარზე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარეობს. ცვლილებები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

დამატებითი მოთხოვნები დაწესდა მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას, რაც ხელს შეუწყობს საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების უკეთ დაცვას;

გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მომხმარებლებს ბანკომატზე საკუთარი სახსრებისა და ოვერდრაფტის ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამიჯნულად მიღების შესაძლებლობა ექნებათ, ეს კი მათ საშუალებას მისცემს, უფრო ნათლად დაინახონ, თუ მათთვის ხელმისაწვდომი თანხის რა ნაწილია ოვერდრაფტის ლიმიტი და, შესაბამისად, ამ ლიმიტის ათვისების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, ოვერდრაფტის ლიმიტის ათვისებისას, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება, აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობოს, რაც მათ ინფორმირებულობას გაზრდის.

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება'' ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge

ფინანსური ორგანიზაციების ვებგვერდებზე განთავსდება საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების ნიმუშებისა და მნიშვნელოვანი პირობების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, ფინანსურ ორგანიზაციასთან გაფორმებული საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებები და ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, მათ შორის, ინფორმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტ ბანკში და ა.შ.

ეთიკის კოდექსისა და ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის ცვლილებების ძირითადი მოთხოვნები 2022 წლის 1 მარტიდან, ხოლო მომხმარებელთან და საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება არაუგვიანეს 1 ივნისიდან ამოქმედდება. ამასთან, ფინანსურ ორგანიზაციებთან უკვე გაფორმებული საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებები ინტერნეტ ბანკში 2022 წლის 1 აპრილიდან არის ხელმისაწვდომი.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე.

საქართველოს პარლამენტმა ,,მომხმარებლის უფლებების დაცვის'' შესახებ კანონი მიიღო

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება, ჯერ კიდევ 2022 წლის 11 მარტს გაგაფრთხილებდათ, რომ საქართველოს პარლამენტი მუშაობდა ,,მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ'' კანონპროექტზე.

2022 წლის 29 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ,,მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ'' კანონი.

კანონის მიღება გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოში არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც მომხმარებლის უფლებების დაცვას და აღსრულების მექანიზმის ფუნქციონირების წესს დაარეგულირებდა. მომხმარებლის უფლებებისა და მოვაჭრის ვალდებულებების შესახებ ნორმები მიმოფანტული იყო სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. ახალი კანონი კი ქმნის ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოს და აწესებს ზოგად პრინციპებს მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში. კანონის მიღება, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ვალდებულების ნაწილია.

კანონის მიღების მიზანია მომხმარებლისთვის საფუძვლის შექმნა, რათა მას პროდუქტის თაობაზე მაქსიმალურად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს. ასევე, კანონის მიზანია უფლებების დარღვევის პრევენცია და დარღვეული უფლებების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. კანონი არეგულირებს/განსაზღვრავს:

- მომხმარებელს და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს,
- იმ ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის,
- მომხმარებლის უფლებების დაცვას უსამართლო სტანდარტული პირობებისა და უსამართლო კომერციული პრაქტიკისგან,
- განსაზღვრავს პროდუქტის შეძენისა და მომსახურების მიღებისას მომხმარებლისთვის სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას,
- არეგულირებს სარეწს (განისაზღვება, როგორც სავაჭრო დაწესებულება) გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულების პირობებს და განსაზღვრავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს.

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება'' ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge

- მომხმარებელს აძლევს უფლებას, სარეწს გარეთ დადებულ და დისტანციურ ხელშეკრულებებზე უპირობოდ თქვას უარი 14 დღის განმავლობაში.

კანონი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კონკრეტულად: ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვასთან, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. კერძოდ, კანონის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. კანონის მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს, მიიღოს, ხოლო მოვაჭრე ვალდებულია გასცეს ინფორმაცია პროდუქტის დასახელების, მოვაჭრის ვინაობის, პრეტენზიის განხილვის პირობების, პროდუქტის დამზადების თარიღის, ვარგისიანობის, პროდუქტის სრული ფასის, გადახდის, მიწოდებისა და საგარანტიო პირობების, პროდუქტის გამოყენების წესების, ხელშეკრულების ვადის შესახებ. ხოლო, ინფორმაციის გაცემის მთავარი პრინციპია, რომ იგი იყოს მკაფიო და გასაგები.

მომხმარებელს უფლება აქვს, კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო). სააგენტო მოახდენს მომხმარებლის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას და რეაგირებას დარღვეული უფლებების აღსადგენად. სააგენტო საჩივრის მიღებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვრავს მის დასაშვებობას, 1 თვის ვადაში განიხილავს საჩივარს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოვაჭრეს გააფრთხილებს, მისცემს ვადას მისი აღმოფხვრისთვის, ხოლო მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება სანქცია – წინა წლის ბრუნვის 2%–მდე ოდენობით.

კანონი ძალაში 2022 წლის 1 ივნისიდან შევა, ხოლო მომხარებელთა საჩივრების განხილვა სააგენტოში 1 ნოემბრიდან დაიწყება.

გამოიწერეთ ყოველთვიური ბიზნეს ბიულეტენი. მიიღეთ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებებისა და DWV-ს წევრი კომპანიების ექსკლუზიური შეთავაზებების შესახებ. [გამოწერა]

გამოგვყევით სოციალურ ქსელებში [Facebook] [Linkedin]

ა(ა)იპ ,,გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება'' ს/კ: 204545581, მის: რუსთაველის გამზ. 24 +995-32-220-57-67
www.dwv.ge info@dwv.ge